



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

09 ივნისი 2025



N 286/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, მდ. ხრამზე შპს „ნახიდური ჰესის“
ჰიდროელექტროსადგურის („ნახიდური ჰესი“ – 7,2 მგვტ) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე
სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „ნახიდური ჰესის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, მდ. ხრამზე გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურის („ნახიდური ჰესი“ – 7,5 მგვტ) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2020 წლის 25 აგვისტოს შპს „ნახიდური ჰესის“ ჰიდროელექტროსადგურის (ნახიდური ჰესი – 7,5 მგვტ) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება № 2-758). 2021 წლის 22 ივლისს, 2023 წლის 30 მარტს და 2024 წლის 20 მაისს აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილებები (ბრძანება: №2-1125, №142/ს და 255/ს), რომელთა საფუძველზე დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებები არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში. საბაზისო პროექტით, ჰიდროელექტროსადგურის („ნახიდური ჰესი“ – 7,2 მგვტ) შემადგენლობაში შედის შემდეგი ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტები: სათავე ნაგებობა, თევზსავალი, სადაწნეო მილსადენი, ჰესის შენობა და გამყვანი არხი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, გათვალისწინებულია ჰიდროელექტროსადგურის („ნახიდური ჰესი“ – 7,2 მგვტ) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, რაც გულისხმობს ჰესის შენობის ადგილმდებარეობის ცვლილებას. აღნიშნული, თავის მხრივ, დაკავშირებულია სადაწნეო მილსადენისა და მისასვლელი გზის დერეფნის ცვლილებასთან, აკვედუკის გაუქმებასთან, სახიდე გადასასვლელის და ნაპირსამაგრი ნაგებობის ადგილმდებარეობის ცვლილებასთან, ასევე, სამშენებლო ბანაკების რაოდენობის შემცირებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, ჰესის შენობა, ნაცვლად მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირსა, მოეწყობა მდინარის მარცხენა სანაპიროს ტერასაზე, ზღვის დონიდან 423,5 მეტრის ნიშნულზე (საპროექტო მიწის ნაკვეთის GPS კოორდინატები: X-473010 Y-4592977;

X-473039 Y-4593079; X-473064 Y-4593113; X-473104 Y-4593036), პირვანდელი განთავსების ადგილიდან დაახლოებით 140 მეტრში. ჰესის შენობის შეცვლილი ადგილმდებარეობა ხვდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე შესწავლილ არეალში. ჰესის შენობის შიდა ინფრასტრუქტურის განთავსების სქემა რჩება უცვლელი. ჰესის შენობა დაყოფილია შემდეგ ნაწილებად: ტურბინა-აგრეგატების სამონტაჟო დარბაზი; სამონტაჟო მოედანი; სამომსახურო მიშენება და სატრანსფორმატორო ქვესადგური. ტურბინა-აგრეგატების სამონტაჟო დარბაზისა და სამომსახურო მიშენების ქვეშ გათვალისწინებულია ტურბინებიდან გამომუშავებული წყლის გამყვანი 2 გალერეა, რომლებიც შენობის ფარგლებში დახურულია, ხოლო შენობიდან გასვლის შემდეგ ერთიანდება და გადადის 26 მეტრი სიგრძის და 4 მეტრი სიღრმის მქონე ღია წყალგამტარ გალერეაში. აღნიშნული გალერეის მარჯვენა, მდინარის მხარეზე არსებული კედელი, დაპროექტებულია იმ გათვლით, რომ აღნიშნულმა კედელმა შეასრულოს ნაპირდამცავი კედლის ფუნქცია. ჰესის შენობის მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე გადატანით, შეიცვლება სადაწნეო მილსადენის დერეფანი, ხოლო მისი სიგრძე შემცირდება დაახლოებით 215 მეტრით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საბაზისო პროექტი ითვალისწინებდა სადაწნეო მილსადენის მიერ, აკვედუკის საშუალებით, მდ. ხრამის გადაკვეთას. ვინაიდან, ჰესის შენობის მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე გადატანით, სადაწნეო მილსადენის მიერ მდ. ხრამის გადაკვეთის საჭიროება არ დგას, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, აკვედუკის მოწყობა აღარ იგეგმება. სადაწნეო მილსადენის მშენებლობისთვის, მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე, მოეწყობა საავტომობილო გზა, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ჰესის შენობასთან მისასვლელად. ამასთან, საბაზისო პროექტით გათვალისწინებული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად, მდინარის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებს შორის გადასაადგილებლად, მოეწყობა ახალი ხიდი (GPS კოორდინატები: X-473054, Y-4592944; X-473047, Y-4592911), რომლის მალი შეადგენს 16,0 x 6,0 მეტრს და გათვლილია 20-ტონიან დატვირთვაზე. ჰესის შენობის მოწყობის კვეთში, მდ. ხრამის მაქსიმალური 0,5%-იანი უზრუნველყოფის წყლის ხარჯის შესაბამისი დონე 423,0 მეტრია, რაც შენობის მიმდებარე ტერიტორიის მოსწორების ნიშნულზე ნაკლებია და წყალდიდობებისას ჰესის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარის ნაკადის ზევიდან გადადინების საფრთხე არ არსებობს. არსებული ფონური მდგომარეობის და ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, ჰესის შენობის მიმდებარე ტერიტორიის მდ. მხარეზე მოქცეული ფერდობის გამაგრება მოხდება 135 მეტრი სიგრძის ნაპირსამაგრი ნაგებობით, რომელიც წარმოდგენილი იქნება მსხვილი ფლეთილი ქვების წყობით (GPS კოორდინატები: X-473084 Y-4593072; X-473058 Y-4592946), ხოლო საბაზისო პროექტით განსაზღვრული არმირებული ბეტონის ნაპირდამცავი კედელი აღარ მოეწყობა. რაც შეეხება სამშენებლო ბანაკების რაოდენობის შემცირებას, ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, ჰესის შენობა გადადის მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე, მდინარის მარჯვენა ნაპირზე გათვალისწინებული სამშენებლო ბანაკის (GPS კოორდინატები: X-473255 Y-4593128) მოწყობის საჭიროება აღარ დგას და პროექტის ფარგლებში, 3 სამშენებლო ბანაკის ნაცვლად მოეწყობა ორი. აღსანიშნავია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საპროექტო ტერიტორია ნაწილობრივ ხვდება სახელმწიფო ტყეში, ხოლო უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 1 კილომეტრზე მეტი მანძილით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ უკავშირდება საბაზისო პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობის, მასშტაბის, გამოსაყენებელი ტექნიკისა და სქემის, დასაქმებულთა რაოდენობის, მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მართვის ცვლილებას, ასევე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების გაზრდას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით მცირდება სადაწნეო მილსადენის და მისასვლელი გზის სიგრძეები, ხოლო აკვედუკის მოწყობა აღარ

იგეგმება, მშენებლობის ეტაპზე მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის და ამოსაღები გრუნტის რაოდენობა შემცირდება. მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვა განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ექსკავირებული გრუნტის ნაწილი გამოყენებული იქნება უკუყრისთვის, ხოლო ნაწილი განთავსდება ფუჭი ქანების სანაყაროზე. საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმით, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია მდ. ხრამის ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია. საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. ხრამის ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდ. ხრამის 1%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯი შეადგენს 520 მ³/წმ-ს, ხოლო წყალსაცავის კატასტროფული წყალსაგდებიდან 500 მ³/წმ ხარჯის გადმოშვების შემთხვევაში, გაუთანაბრდება 1020 მ³/წმ-ს. კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე შეადგენს 4,31 მ-ს, რაც წყალსაცავის კატასტროფული წყალსაგდებიდან 500 მ³/წმ-ის გადმოშვების შემთხვევაში, გაუტოლდება 6,03 მ-ს. კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე შეადგენს 6,90 მ-ს, ხოლო წყალსაცავის კატასტროფული წყალსაგდებიდან 500 მ³/წმ ხარჯის გადმოშვების შემთხვევაში – 9,65 მ-ს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, shp ფაილებით წარმოდგენილი მთლიანი ფართობიდან (10 258 მ²) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 8 903 მ² წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს, კერძოდ, წალკა-თეთრიწყაროს სატყეო უბნის თეთრიწყაროს სატყეოს. სახელმწიფო ტყეში მდებარე 8 903 მ² ფართობიდან 2 795 მ² ნაწილობრივ ზედდება შიდა სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებთან (ს/კ: 84.22.31.029; 84.22.31.037; 84.22.31.054; 84.22.31.051), რომლებზეც სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2024 წლის 17 დეკემბრის №3558/ს ბრძანებით, შპს „ნახიდური ჰესი“ მინიჭებული აქვს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება. სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით კომპანია მოიპოვებს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლებას, ხოლო ის მიწის ნაკვეთები, რომლებიც აღარ ექვევება პროექტის გავლენის არეალში, დაუბრუნდება შესაბამის უწყებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ობიექტების შეცვლილი ადგილმდებარეობები არ სცდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე შესწავლილ არეალს, სადაც დეტალურად იქნა გამოკვლეული არსებული ბიომრავალფეროვნება და მოსალოდნელი ზემოქმედება. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, მცირდება ასათვისებელი ტერიტორიის ფართობი, რომელიც დამატებით ჩატარებული ტაქსაციის შედეგების მიხედვით, თავისუფალია მცენარეული საფარისგან. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულ საპროექტო ტერიტორიაზე გვხვდება მხოლოდ დაბალი კონსერვაციის ბუჩქნარები, რომლებიც არ ექვემდებარება აღწერას. ზემოაღნიშნულისა და პროექტით განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების გაზრდასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ტერიტორიის მიმდებარედ, დაახლოებით 30 მეტრში ფიქსირდება არქეოლოგიური ძეგლი. ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ობიექტების განთავსება გათვალისწინებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე შესწავლილ არეალში, ძეგლის მიმართ მოსალოდნელი ზემოქმედება განხილულია, როგორც გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში, ისე, სხვადასხვა პერიოდში ჩატარებულ არქეოლოგიურ კვლევებში და განსაზღვრულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების საჭიროება არ არსებობს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფებზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, აღნიშნული ცვლილებები არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების გაზრდასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, მდ. ხრამზე შპს „ნახიდური ჰესის“ ჰიდროელექტროსადგურის („ნახიდური ჰესი“ – 7,2 მგვტ) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ნახიდური ჰესი“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2020 წლის 25 აგვისტოს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-758) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
3. შპს „ნახიდური ჰესი“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს სადაწნეო მილსადენის და მისი ბუფერის ჰესის შენობასთან დაერთების მონაკვეთის დაზუსტებული shp ფაილების სააგენტოში წარმოდგენა;
4. შპს „ნახიდური ჰესი“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობის სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმება;
5. შპს „ნახიდური ჰესი“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს დაგეგმილი საქმიანობის სსიპ საქართველო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმება;

6. შპს „ნახიდური ჰესისთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2020 წლის 25 აგვისტოს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-758) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
7. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნახიდური ჰესს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
8. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნახიდური ჰესის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
9. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების მერიის საინფორმაციო დაფაზე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/286-21-4-202506091643>

